

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 31 აგვისტო, 2020

№183 (8447)


ფასი: 60 თეთრი

**„ცაცხლი რომ
განდა, ბავშვებს
ეძინათ. შუათანაშ
მითხრა, ჯერ
ჩემი ძმა
გადაარჩინეო“**

გვ.5




„ფეისბუქის ამ ჯგუფს აღაშენებენ თვითმკვლელობაზე მიჰყავს და თამარის ალბათ მათ შორის მოხვდა“



**ბაჩანა ლობჯანიძე
პროკურატურაში გამოიკითხა**

ალბომიდან ამოღებული ფოტოსურათები თამარ ბაჩალიაშვილის საქმეს თავდაყირა აყენებს. ირკვევა, რომ ახალი ფიგურანტი ბაჩალიაშვილის შეყვარებული თემურ ჭანუყვაძეა. მათ ფოტოები ახალგაზრდა პროგრამისტის სტუდენტობის დროს, პარიზში გადაიღეს, როდესაც ბაჩალიაშვილს 24 წლის ბიჭმა საფრანგეთში ჩააკითხა.




გვ.4

**ნილო ბურჯანაძე: „პრემიერობის
კანდიდატი ვიქნები. ჩვენს პარტიას
10-12%-იანი მხარდაჭერა აქვს“**



**„ბოდიში კარგია,
თუნდაც
დაგვიანებული,
მაგრამ
სააკაშვილის
გულწრფელობის
არ მჯერა“**

გვ.2



გვ.3

**„გიორგი ვაშაძე ბიძინა
ივანიშვილის ნაპუი ზის“**

ლადო სადღობელაშვილი:
„არ გამოვრიცხავ, ივანიშვილი და სააკაშვილი
ურთიერთშეთანხმებით თამაშობდნენ“

**ლევან ალაფიშვილი:
„საარჩევნო ბიულეტენი
არ უნდა გავსვალთ
არც კარტოფილი და
არც ფული“**

გვ.4



**პაატა ზაქარაიშვილი:
„მოსკოვს მოუწავს,
თიბილქს
დაეშვიდობოს.
შესაძლოა, მან
კოჰოითი დააბრუნოს“**

გვ.2



5 მოჯახა
თავდასხმისთვის
ჭიათურაში
4 პირი დააკავეს

6 ლუბა სობოლი:
„ნავალინის კრემლის
დავალებით
მონაგლანს“

5 ხაბურში
2 ძმა ჭაში
დაინხრჩო

6 ფრანგი ოფიცერი
რუსეთის
ჯაშუაობისთვის
დააკავეს



„ხშირად მხედა და აიბომა მას დანა დაპარტყი“

დავით მოსიაშვილი ზვიად ბექაურმა დაჭრა

დავით მოსიაშვილი მეგობარმა სასიკვდილოდ დანიტ დაჭრა. ორ მსყემს შორის დაწყებული კონფლიქტი სოფელ როშკაში სისხლიანი გარჩევით დასრულდა.

„მთავარის“ ცნობით, 35 წლის მეცხვარე მეგობარს უფროსისთვის ვალის დაბრუნებას სთხოვდა. სიტყვიერი კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და ზვიად ბექაურმა მსყემს კისრისა და სხეულის სხვადასხვა არეში მძიმედ დაჭრა. მოსიაშვილის ოჯახის წევრები ამტკიცებენ, რომ მძიმედ დაჭრილს ყურადღება არაუარსებია და ახალგაზრდა კაცი უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში ცხენით გადაიყვანეს.

დაპირისპირების განსხვავებულ ვერსიაზე საუბრობს ზვიად ბექაური, რომელიც აღიარებს, რომ თანამშრომელი დანიტ ნამდვილად დაჭრა, თუმცა ამტკიცებს, რომ ეს მხოლოდ თავდაცვის მიზნით გააკეთა. მსყემის იხსენებს, რომ მოსიაშვილის მხრიდან ცემისა და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი არაერთხელ გამხდარა.

სისხლიანი გარჩევის შემდეგ მალევე გამოიძახეს სასწრაფო,



თუმცა რთული რელიეფის გამო სასწრაფო ადგილზე დროულად ვერ მივიდა, ამიტომ დაჭრილი მსყემის ცხენით დუშეთის საავადმყოფოში გადაიყვანეს, შემდეგ – მცხეთაში, მას შემდეგ კი რაც

ვერცერთმა საავადმყოფომ სისხლდაცლილი პაციენტი ვერ მიიღო, მოსიაშვილი თბილისში გადმოიყვანეს.

მსყემს ახლობლები რამდენიმე დღის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ. საბოლოოდ, მამაკაცის დაჭრა სამი დღის შემდეგ გაიგეს. ოჯახი პოლიციას უმოქმედობაში ადანაშაულებს.

კლინიკა „ჯერარსში“ ამბობენ, რომ პაციენტი 25 აგვისტოს, გამთენიას, სისხლდენით შეიყვანეს და მას ოპერაცია მალევე ჩატარდა. ამ დროისთვის დაჭრილი მსყემის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ის რენიმატოლოგიაში მართვითი სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

სისხლიანი გარჩევის შემდეგ ბექაური დააკავეს, თუმცა მალევე ხელნერილის საფუძველზე გამოუშვეს, უწყებაში ამ დრომდე არ აკეთებენ კომენტარს, რა მუხლით დაინყეს გამოძიება და არის თუ არა ვინმე დაკავებული.

ბიზნესსაფაროვის ეკვლავის საქმეზე 3 პირს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა

თბილისში მომხდარ მკვლელობის საქმეზე პროკურატურამ სამ პირს ბრალი წარუდგინა. გია საფაროვის განზრახ მკვლელობის ფაქტზე პროკურატურამ გ.ზ., აგრეთვე განზრახ მკვლელობის შესახებ ცრუ ინფორმაციის მინორდებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე დ.თ.-ს და ბ.ბ.-ს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 26 აგვისტოს, ქ. თბილისში, გ.ზ.-მ ურთიერთშედაპარაკების ნიადაგზე, მოკვლის განზრახვით, გ.ს.-ს დანიტ მიაყენა ჭრილობები გულმკერდისა და თავის არეში, რის შემდეგაც შემთხვევის

ადგილიდან მიიმალა. ა. ალადაშვილის სახელობის კლინიკაში გადაყვანილი გ.ს. განუთქმული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ზემოხსენებულ ფაქტს შეესწრნენ ბ.ბ. და დ.თ., რომლებმაც აღნიშნულის შესახებ არ შეატყობინეს სამართალდამცავ ორგანოებს. ამასთანავე, მოწმის სახით გამოკითხვისას, დ.თ.-მ მომხდარი ფაქტთან დაკავშირებით გამოიძიებას ცრუ ინფორმაცია მიაწოდა. სამართალდამცველებმა გ.ზ., ბ.ბ., და დ.თ. 2020 წლის 27 აგვისტოს დააკავეს.

პროკურატურამ გ.ზ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე

მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარუდგინა. დ.თ.-ს ბრალდება წარდგენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 376-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცრუ ინფორმაციის მინორდება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული). ბ.ბ.-ს ბრალდება წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მე-3 ნაწილით (დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული).



პროკურატურამ ბრალდებულების, გ.ზ.-ს, ბ.ბ.-ს და დ.თ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ოჯახზე თავდასხმისთვის ჩიათურაში 4 პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჩიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით 4 პირი დააკავეს.

დაკავებული არიან: 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევო ი.ს., 1964 წელს დაბადებული თ.ს., ასევე, წარსულში ნასამართლევო და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ორი პირი – 1982 წელს დაბადებული გ.ჯ. და 1958 წელს დაბადებული ა.ც. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, მიმდინარე წლის 26 ივლისს, ჩიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიგაურში იყვნენ და დაესხნენ 1946 წელს დაბადებული რ.მ.-ს საცხოვრებელ სახლს. თავდასხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით რ.მ.-ს ფული და ოქროს სამკაულები გასტაცეს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი – ი.ს. თბილისში დააკავეს. მოგვიანებით კი პოლიციამ ბრალდებულები – თ.ს., გ.ჯ. და ა.ც. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ოქროს სამკაულები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სს.კ.-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ასევე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც ბინაში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად არაერთგზის ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს.

ქალთა მიმართ ანდამოქალაქებზე ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვის შესახებ საფუძვლად დაედო

2020 წლის 27 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლების მონაწილეობით „ქალთა მიმართ ანდამოქალაქებზე ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვის შესახებ“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. განხილვის თემას წარმოადგინდა და საკანონმდებლო ცვლილება, რომლის საფუძველზეც, 2020 წლის 1 სექტემბრიდან, შემაკაველები ორდღის გამოცემასთან ერთად, შესაძლებელი იქნება მოძალადის მიმართ დანერგვის ელექტრონული ზედამხედველობა.

სიხლის თანახმად, ძალადობის განმეორების რეალური საფრთხისა და მსხვერპლის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, მოძალადეს სხეულზე ელექტრონული საშუალებების დასაყრდენად, აღნიშნულის შედეგად მოძალადის მიერ მსხვერპლთან და წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიასთან მიახლოების კონტროლი განხორციელდება GPS სისტემის მეშვეობით.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ისა და ტერიტორიული დანაყოფების თანამშრომლების მიერ განხილული იქნა ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვის საშუალებების საფუძველზე და რეგულაცია, რისკის შეფასების ინსტრუმენტში განხორციელებული ცვლილებები, ელექტრონული მონიტორინგის ფუნქციონირების პრინციპები, ტექნიკური მახასიათებლები, ექსპლუატაციის წესი.

განიხილეს UN WOMEN-მა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა 100 ელექტრონული მონიტორინგის (სამაჯური) და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, UN WOMEN-თან, ფონდი Human-foc-თან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გაგრძელდება ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებზე სწავლების ორგანიზება და ბეჭდური მასალის დამზადება.

აღსანიშნავია, რომ ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და სამინისტროს მხრიდან ეტაპობრივად ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება ტარდება.



სიხლის თანახმად, ძალადობის განმეორების რეალური საფრთხისა და მსხვერპლის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, მოძალადეს სხეულზე ელექტრონული საშუალებების დასაყრდენად, აღნიშნულის შედეგად მოძალადის მიერ მსხვერპლთან და წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიასთან მიახლოების კონტროლი განხორციელდება GPS სისტემის მეშვეობით.

36 წლის მოზარდის მიმართ მალთაყვის ხიდიდან გადევნება

ფოთში მალთაყვის ხიდიდან 36 წლის მამაკაცი გადევნდა და გარდაიცვალა. ტრაგიკული შემთხვევა 29 აგვისტოს მოხდა. მამაკაცი მოტოციკლით მალთაყვის ხიდზე ტრაფარეტს შეეჯახა და ამის გამო გადავარდა.

ადგილზე მოზილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა. დაზარალებული ფოთის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ექიმების განმარტებით, მიუხედავად მათი მცდელობისა, პაციენტის გადარჩენა სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმების გამო ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ კანონის ამოქმედებამდე, გაეროს ქალთა ორ-



ფრანგი ოფიცარი რუსეთის საიდუმლო ინფორმაციის მინიჭება ედება ბრალად

ფრანგი ოფიცარი რუსეთის საიდუმლო ინფორმაციის მინიჭება ედება ბრალად



საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრმა ფლორანს პარლიმ დაადასტურა, რომ საფრანგეთის არმიის უფროსი ოფიცრის მიერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სავარაუდო გაცემის თაობაზე გამოძიება ტარდება.

აქვე პარლიმ აღნიშნა, რომ სამინისტრომ ამ საქმის შესახებ გამოძიებას ინფორმაცია გადასცა, დამატებით დეტალებზე კი არ უსაუბრია.


ფრანგი ვიცეკონსული, რომელიც იტალიაში, ნატოს ბაზაზე მსახურობდა, ეჭვმიტანილია რუსეთის საიდუმლო სამსახურებისთვის დელიკატური დოკუმენტაციის გადაცემაში.

ოფიცერი საფრანგეთის კონტრდაზვერვის სამსახურმა დააკავა, როცა საზღვრული შემოღებიდან ის კვლავ იტალიაში დაბრუნებას აპირებდა.

ოფიცერი ამჟამად პარიზის ციხეში წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

ლუბა სოგოლი: „ნავალინ კრემლის ღადაბალი მონაოჯახო“

ცნობილია რუსმა ოპოზიციონერმა ლუბა სოგოლიმა განაცხადა, რომ ნავალინის მონაოჯახის გამო სისხლის სამართლის საქმე ჯერაც არ არის აღძრული. ეს კი შემთხვევითი არაა.



— ნავალინ კრემლის ღადაბლით მონაოჯახი ამაში ეჭვი არ მეპარება, — ამბობს სოგოლი.

პუტინის თანაშემწე პესკოვმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ ნავალინის გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრას.

ტრამპი პორტუგალიის მარსეროვანი პრეზიდენტი გახდება



— უილერი არაკომპეტენტურია. ჩვენი მშვენიერი ეროვნული არმია ამ პრობლემებს ერთ საათზე ნაკლებ დროში გადაწყვეტდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გაგზავნოს მოთხოვნა, ვიდრე ჯერ კიდევ გვიანი არ არის, — განაცხადა ტრამპმა, რომლის თქმით, ადგილობრივ და სხვა ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებსაც „დემოკრატები“ მართავენ, არ სურთ კანონი და წესრიგი.

პორტუგალიაში, სადაც საპროტესტო აქციები იმართება და მოსახლეობა პოლიციის მკაცრ ქმედებებს აპროტესტებს, სროლებს ერთი ადამიანი ემსხვერპლა.

დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეტაკება შაბათს საღამოს მოხდა. პოლიციის ინფორმაციით, ძალადობას ადგილი ჰქონდა პორტუგალიის ცენტრალურ ნაწილში, სადაც სამართალდამცველებმა რამდენიმე მოქალაქე დააკავეს.

პორტუგალიაში რამდენიმე თვეა, აქციები პერმანენტულად იმართება. საპროტესტო ტალღა ფერადკანიანი ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო.

მიამზადა ნიკა თევზაძემ

მოდელს მეგობართან კამათის დროს ცეცხლი წაეკიდა

ბრაზილიის სერას მუნიციპალიტეტის მკვიდრს მეგობართან კამათის დროს შემთხვევით ცეცხლი წაეკიდა.

31 წლის მოდელმა კატიუსმა სილვა მოტამ საკუთარი სახლის მახლობლად პარტნიორთან იჩხუბა. სათვალავო კამერების ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ეკამათება მოტა ქუჩაში გოგონას, რის შემდეგაც შედის სადარბაზოში. გოგონა მას უკან მიჰყვება, მაგრამ მოტა შეშვებულ უარს ეუბნება.

რამდენიმე წამის შემდეგ ჩანს, თუ როგორ გამოშვების სახლიდან მოტა. მას სხეულზე ცეცხლი უეკიდა. მოდელის მეგობარი და სხვა თვითმხილველები ცეცხლის ჩაქრობას ცდილობენ.

მოტა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას სხეულის 40 პროცენტზე აღენიშნება დამწვრობა, თუმცა მისი მდგომარეობა სტაბილურია. მოდელის დედის თქმით, მას არ სჯერა, რომ ქალიშვილმა განზრახ წაეკიდა ცეცხლი. მისი ვარაუდით, აალებს სიგარეტმა გამოიწვია. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.



უზარმაზარმა ორთავიანმა ჩხრიალა გველმა გველებზე მონადირე გააოცა

პროფესიონალმა გველებზე მონადირემ ამერიკის არიზონის შტატში უზარმაზარი ორთავიანი ტეხასური ჩხრიალა გველი აღმოაჩინა.

გველებზე მონადირე გრეისონ გეტრი გოლფის მოედნის მახლობლად აღმოჩენილ ჩხრიალა გველის კვალს მიჰყვა და ქვეწარმავლის ბუნაგს მიაგნო, სადაც კიდევ 12 რეპტილია ბუდობდა. ბუნაგის კუთხეში მან რგოლებად დახვეულ ტეხასურ ჩხრიალა გველის ორთავიან წინილს მიაგნო, რომელიც თანამომხმევე ზოგით ორჯერ აღემატებოდა, თუმცა უკვე მკვდარი იყო.

— მისი სხეული, სხვა თანამომხმე გველის წინილებთან შედარებით, საკმაოდ დიდი და არაპროპორციული მოჩანდა. როგორც ჩანს, მას დიდი ხან არ უცოცხლია, ის რგოლებად დაეხვია და მოკვდა, — განაცხადა გველებზე მონადირემ.

გეტრიმ ქვეწარმავლების ბუნაგიდან სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით ოთხი მოზრდილი გველი და შვიდი გველის წინილი გამოიყვანა. მოგვიანებით ერთ-ერთმა გველმა პირდაპირ მის სპეციალურად გველებისთვის განკუთვნილ სათლში იშშობიარა და ამით ქვეწარმავლების რაოდენობა 14-მდე გაიზარდა. ყველა მათგანი გეტმა გოლფის მოედნიდან მოშორებით გადაიყვანა და ბუნებაში გაუშვა.

ტელეფონით მამასთან მოლაპარაკე ქალი დათვბა იმსხვერპლა

კანადის პროვინცია ასასკევიანში ქალი იმ დროს გახდა შავი დათვის მსხვერპლი, როდესაც ის მამას ტელეფონზე ელაპარაკებოდა.

აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 44 წლის სტეფანი ბლევი, მისი მეუღლე კერტისი და მათი შვილები, ცხრა წლის ელი და ორი წლის უმა, მათი ოჯახის კუთვნილ ტბის პირას მდებარე სახლში იმყოფებოდნენ.

სტეფანის მამის თქმით, მტაცებლის თავდასხმამდე მცირე ხნით ადრე მას თანამგზავრული ტელეფონით დაურეკა და გაფუჭებული საქაჩანის თაობაზე შესწავლა.

— ელი და უმა მასთან იყვნენ, მაგრამ მან ბავშვი სახლში გაგზავნა თანამგზავრული ტელეფონის ანტენის მოსატანად, რათა კავშირი უკეთესი გამხდარიყო, — ამტკიცებს დელუბულის მამა. მისივე თქმით, რამდენიმე წამის შემდეგ ყურმილში რაღაც უცნაური ხმა მოესმა და სტეფანიმ აღარ უპასუხა.

მალე სტეფანის მამას შვილის მეუღლემ დაურეკა და შეატყობინა, რომ სტეფანის თავს დათვი დაეხსა. მისი მტკიცებით, მან მტაცებელს სახეში წინაქის სპეციალური ხსნარი შეასხურა, შემდეგ კი ორჯერ ესროლა. როდესაც ცხოველი მოკლა, მეუღლესთან მიიზრინა და მისი დახმარება ცადა, თუმცა ის უკვე აღარ სუნთქავდა.



უზარმაზარი ანაკონდა ალიგატორს თავს დაესხა და მისი გადაყლაპვა ცადა

ბრაზილიაში, კონდომინიუმის მახლობლად, უზარმაზარი ანაკონდა ალიგატორს თავს დაესხა და მისი გადაყლაპვა ცადა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კონდომინიუმის მკვიდრი დერნანდო რეისი სახლში ბრუნდებოდა, როდესაც ალიგატორზე შემოხვეული უზარმაზარი გველი შენიშნა. თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ არის შემოხვეული ანაკონდა ალიგატორზე და მის გადაყლაპვას აპირებს. ადგილობრივებმა რეპტილიების ერთმანეთისგან დაშორება თოკის გამოყენებით ცადეს. თუ როგორ მოახერხეს მათ მათთვის თოკის შემოხვევა, უცნობია.

საბოლოოდ ანაკონდას და ალიგატორს ერთმანეთისგან დაშორება ადგილობრივებმა მოახერხეს. აღნიშნული ვიდეო სოციალურ ქსელში პოპულარული გახდა, ხოლო რამდენიმე ინტერნეტმომხმარებელმა საკუთარ კომენტარებში ბუნებრივ მოვლენაში ადამიანების ჩარევის გამო უკმაყოფილება გამოთქვა.

საკრუიზო ხომალდიდან გადავარდნილმა მამაკაცმა სამი დღე ზღვაში სერფინგის დაფაზე გაატარა

ესპანეთის ქალაქ მარბელას მახლობლად სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა მამაკაცი ღია ზღვაში გადაარჩინეს. ის საკრუიზო ხომალდიდან გადავარდა და სამი დღე სერფინგის დაფაზე გაატარა.

ორშაბათს, 24 აგვისტოს, იახტა „ესტელარის“ გუნდმა ღია ზღვაში სერფინგის დაფაზე მჯდომი ტანსაცმელიანი მამაკაცი შენიშნა და მის შესახებ სამშველო სამსახურს აცნობა. მამაკაცის საშველოდ ესპანეთის სანაპირო დაცვის ხომალდი „სალვამარ ვეგა“ გაემართა.

როდესაც 55 წლის მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, ხომალდზე აიყვანეს, მან განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის მოქალაქე იყო და მისი აყვანის მომენტისთვის სამი დღე ღია ზღვაში ჰქონდა გატარებული, მას შემდეგ, რაც საკრუიზო ხომალდიდან გადავარდა. უცნობია, თუ საიდან აღმოაჩნდა მას ღია ზღვაში სერფინგის დაფა.

მამაკაცი მამაკაცი ესტეპონის მუნიციპალიტეტის პორტში მიიყვანეს, საიდანაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას შემდეგ, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდება, პოლიციამ მომხდარის თაობაზე დაკითხავს.



საზოგადოებო

კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია დაიწყო

სამეგრელოში, სოფელ ძველ აბაშაში, კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია და სამუშაო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო.

სამუშაოები ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით ხორციელდება და 3 მილიონ ლარს შეადგენს.

სამუშაოებს პირველი პრეზიდენტის შვილები გიორგი და კონსტანტინე გამსახურდიები ადგილზე გაეცნენ. მათთან ერთად იმყოფებოდნენ „ქართული ოცნების“ აბაშის, მარტვი-

ლის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მაჟორიტარობის კანდიდატი ალექსანდრე მონერელია და აბაშის მერი.

— მე და კოკომ ბაბუაჩენის მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები მოვიხატა. დიდი პროექტია, რომელიც სრულად ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით ხორციელდება. სწორედ ესაა ისტორიისა და ქვეყნის სიყვარულზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი ხედვა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს აშკარად აქვს, — დაწერა სოციალურ ქსელ ტვიტერში გიორგი გამსახურდიამ.



მიამზადა კკა ირემაყვილი

მედლა კეთილი საქმისთვის დააჯარიმეს

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში სხვებზე მზრუნველმა მედლამ გამოცემულ ბაღში მოკრეფილი ვაშლი დაურიგა და დაჯარიმდა.

33 წლის ლიდია ფარელმა საკუთარ ბაღში ორი ყუთი ვაშლი მოკრიფა და ქუჩაში დადგა წარწერით: „უფასო საქმელი ვაშლები“.



— მოწეული ვაშლები ტერასაზე ცვივა და ლპება, — განაცხადა ქალმა, — ამიტომ გადავწყვიტე, მომეკრიფა და ქუჩაში გამოიტანა გამწველებისთვის.

მალე ფარელმა მიიღო ჯარიმის ქვითარი 150 ფუნტ სტერლინგზე ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის.

— ჩემთვის საწყენი იყო, რომ მუნიციპალურმა საბჭომ დამაჯარიმა იმისთვის, რომ კეთილი საქმე გავაკეთე, — დაწერა ფისბუქში საკუთარ გვერდზე მედლამ.

სოციალური ქსელის მომხმარებლები ქალის წერილს გამოეხმაურნენ და მის მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს. შედეგად მუნიციპალურმა საბჭომ ჯარიმა გააუქმა და ფარელს ბოდიში მოუხადა.

ძაღვმა გამგლევი პატრონთან მიიყვანა და გადაარჩინა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ გლენდეილში ძაღვმა, სახელად სენდემ, ქუჩაში გამგლევი თავის პატრონთან, გენდოლფ ვონსონთან მიიყვანა და ამით მას დახმარა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა არხმა გამოაქვეყნა.



კადრებში ჩანს, თუ როგორ გამოვარდა ქუჩაში ეზოდან სენდი და ყვავა დაუსწო ქუჩაში მიმავალ ნაგვის შემგროვებელ კირკ უაიტს. მამაკაცი მიხვდა, რომ აქ რაღაც ისე ვერ იყო და ძაღვს უკან მიჰყვა. მისი თქმით, ცხოველის ასეთი საქციელი არატიპურია იყო.

ძაღვმა უაიტი თავის 88 წლის პატრონთან მიიყვანა. ქალი ერთი საათის წინ კართან დეცა და ადგომას ვეღარ ახერხებდა. მამაკაცი ხანდაზმულ ქალს ფეხზე წამოდგომაში დაეხმარა და დარწმუნდა, რომ დაცემის შედეგად ტრავმა არ ჰქონდა მიღებული.

— ყველანი ვტიროდით, როდესაც ვიდეოს ვუყურებდით, — განაცხადა ქალის შვილიშვილმა შერიმ მალვარმა, — სენდი ყოჩაღად მოიქცა.

ამ შემთხვევამ უაიტი ძაღვის ყიდვაზე დააფიქრა.

— გადავწყვიტე, რომ ძაღლი ვიყიდე, სენდის მსგავსი. ჩვენ შეგვიძლია, მისგან რაღაცეები ვისწავლოთ, — განაცხადა უაიტმა.

მიამზადა კკა ნატიაშვილი

